ეროვნული იდენტობა და კონსერვატიული მსოფლმხედველობის წარმოშობა საქართველოში

ანი პაპელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

პოლიტიკის მეცნიერების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებათა პროგრამა

სამეცნიერეო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

‘’როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი პაპელიშვილი 2015 წლის 25 ივლისი ‘’

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ეროვნული იდენტობის წარმოშობის ეტაპები, იდენტობის დონეები, ქართული კონსერვატიული მსოფლმხედველობის წარმოშობა, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის დამცველი და შემანარჩუნებელი საშუალება. იდენტიფიცირებული და კლასიფიცირებულია ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პერიოდი, რაც უკავშირდება პირველი ბეჭდვითი ქართული გაზეთების გამოცემასა და წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას.

ეროვნული იდენტობის წარმოშობა კონსერვატიული აზროვნების ჩამოყალიბების კვალდაკვალ მიმდინარეობდა, ის იყო იმ ღირებულებების დამცველი და დამაკავშირებელი, რაც საუკუნეების განმავლობაში ქართველ ერს თვითმყოფადობას ანიჭებდა მსოფლიო ფართომაშტაბიან ცვლილებებისა და გაურკვევლობის ფონზე, კონსერვატიზმიკი იყო სამყაროში თვითგანსაზღვრისა და ადგილის პოვნის საშუალება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში იდენტობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა განსაკუთრებით აქტუალური უკანასკნელ წლებში გახდა, რაც განაპირობა გასული საუკუნის მიწურულს წარმოქმნილი იდენტობის კრიზისმა.

საქართველოში ეროვნული იდეა მეცხრამეტე საუკუნეში დაიბადა, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მაშინ საქართველო რუსეთის ნაწილი იყო და დამოუკიდებელ სუვენერულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და სამღვდელოება აქტიურად იყო ჩართული ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში. ქართული კონსერვატიზმის ისტორიული საწყისები ეროვნული იდეოლოგიის იდენტობად გარდაქმნის პერიოდს უკავშირდება.

კვლევის შედეგად ნათლად ჩანს ქართული ეროვნული იდენტობის განსაზღვრა და მისი მჭიდრო კავშირი კონსერვატიზმთან. წარმოდგენილი მოსაზრებები განმტკიცებული არგუმენტებით, თვალსაჩინოს ხდის ეროვნული იდენტობის ფუნდამენტალურ როლს ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ადგილის მომცემს სამყაროში.

კვლევაში წარმოდგენილი საკითხების ანალიზისას იკვეთება ეროვნული თვითმყოფადობის იდეოლოგიად დამუშავება და მისი იდენტობად გარდაქმნა, აგრეთვე ქართული კონსერვატიზმის წარმოშობის საფუძვლები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეროვნული იდენტობა, კონსერვატიზმი, თვითმყოფადობა, იდეოლოგია .

Abstract

In dissertation there are shown the origin levels of the Georgian identicalness, origin of Georgian conservative ideology, as the way of defense and vindicate the national self-future. It the period of national identicalness formation is identified and pigeonholed, which is connected to the publication of the first Georgian printed newspaper and to the foundation of the spreader society of reading and writing.

The origin of the national identicalness was happening at the same time as the developing of the conservative thinking, it was a defender and a connecting of the value, which gave the self-future to the Georgian people while there was a worldwide changings and vagueness, conservatism was the way of self-determination and finding its place in the universe.Identicalness and the research which are connected to this became more actual in the social and political sciences in these last years, which was caused by the crisis of identicalness which was developed in the last century.

In Georgia national idea was born in the 19th century as in many other countries, when Georgia was a part of Russia and it was not independent country. In this period Georgianorthodox church and clergy was taking part in the war of national self-future. The historical beginnings of Georgian conservatism was connected to the national ideology. In the findings there is clearly shown the determination of the Georgian national identicalness and the connection to the conservatism. The thoughts which are realized, make clear the roles of the national identicalness in the human`s life, as the giver of the place in the universe.

When we are making the analysis of the findings we can see treatment of the national self-future as the ideology and transformation as identicalness, we can also see the origin of the Georgian conservatism.

Main searching words: national identicalness, conservatism, self-future, ideology.

მადლობა

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას იმ ხელშეწყობისთვის, რომელიც გამეწია მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში.

მადლობას ვუხდი და გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას პროფ. პაატა ჩხეიძის მიმართ, სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და თანადგომისთვის.